პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 10 აპრილი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

წითელი არმიელი

77 (1072) | 1 და 2 მარტული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ულხმენი 2—24 განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

მეუმცირესეთა მოძრაობა ინგლისში თანდათან ღრმავდება.

როგორც ვიცით, ერთ წელზე მეტია, რაც ინგლისის პროფესიონალურ კავშირებში თავი იჩინა მემარცხენე გადახრამ და ამ მემარცხენე ჯგუფს თავის რაოდენობის სიმცირის გამო მეუმცირესეთა ჯგუფი ეწოდეს.

მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მეუმცირესეთა მოძრაობა საგრძნობლად გაღრმავდა და თავის მომხრე წევრების რაოდენობითაც საკმაოთ გაიზარდა. რომ ეს მართალია ამას თუ განვიგებთ ისიც ამტკიცებს, რომ 21 მარტს მოსხდარ მეუმცირესეთა კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 883 დელეგატი, რომლებიც ითვლებიან ერთი მილიონი მუშების წარმომადგენლებათ.

მაშასადამე მეუმცირესეთა მოძრაობას საკმაო მუშათა მასა ჩაუთრევია თავის მუშაობაში და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ამ მოკლე ხანში თანდათანობით შესძლებს მუშათა ფართო მასის დაპყრობას.

მაგრამ საკითხავია: რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ეს მეუმცირესეთა მოძრაობა მუშათა ფართო მასას ითრევს თავის მუშაობაში?

ამის უმთავრესი მიზეზი კი არის ის, რომ რევოლიუციონურათ განწყობილი ინგლისის პროლეტარიატი მიისწრაფის იმისკენ, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს შექნილი ერთი მოლიანი ფრონტი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ინგლისის პროლეტარიატის ეს სულისკვეთება მხოლოდ და მხოლოდ მეუმცირესეთა მოძრაობის და მუშაობის გაღრმავებით თუ იქნება შესრულებული, თორემ ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალი, რომელიც ბურჟუაზიის ლაქიათ არის გადაქცეული ვერასდროს ვერ შესძლებს ამ სულისკვეთების ცხოვრებაში განხორციელებას.

ამიტომ ადვილი ასახსნელია ის გარემოება, რომ რევოლიუციონური ინგლისის პროლეტარიატი დღითი-დღე ირაზმება მეუმცირესეთა მოძრაობის დროშის ქვეშ. ამ დარაზმვის პროცესს კიდევ უფრო ის აჩქარებს, რომ მეუმცირესეთა კონფერენციამ თავის დადგენილების თანახმად სავსებით ზურგი შეაქცია ყვითელ ამსტერდამის პროფინტერნს და მასთან თანამშრომლობა დაუშვებლად აღიარა.

ამ სთანავე ამ კონფერენციამ გამოიტანა სათანადო დადგენილებები იმის შესახებ, რომ ინგლისში რევოლიუციონური მოძრაობის გასაღრმავებლად საჭიროა შექმნილი იქნეს მოლიანი ფრონტი წითელ პროფინტერნთან ერთად. ასეთი გარემოების შექმნა ინგლისის ბურჟუაზიისათვის ვერ იქნება მაინც და მაინც ხელსაყრელი და ის უთუოდ შეეცდება შეასუსტოს მეუმცირესეთა მოძრაობით გამოწვეული ინგლისის პროლეტარიატის გამოღვიძება და მათი რევოლიუციონური გზაზე დაყენება.

მაგრამ ფაქტები ხომ კერპი ნივთებია და ისტორიული აუცილებლობა მაინც თავისას გაიტანს:

მეუმცირესეთა მოძრაობის თანდათანობითი განვითარება და გაღრმავება ინგლისის ბურჟუაზიას დღეს ან ხვალ სამარის კარამდი მიიყვანს და მისი სიცოცხლის დაბრუნებას და გამომრთელებას ვერავითარი ჩემბერლენის დიპლომატიური დოსტაქრობა ვერ შესძლებს.

ამერიკა და ერთა ლიგის საერთაშორისო ტრიბუნალის კონფერენცია.

ინგლისმა და საფრანგეთმა ერთა ლიგა გამოიყენა, უწინარეს ყოვლისა ომში დამარცხებული სახელმწიფოების გასაყვლეფათ, აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების დასამონებლად და იმ ეროვნული მოძრაობის დასახშობად კოლონიებში, რომელიც უფრო გაფართოვდა და გაიზარდა ომის გათავების შემდეგ. ერთა ლიგა შეუდგა ამ ეროვნული-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწესრიგებას. ფორმალურათ მათ მიანიჭეს დამოუკიდებლობა და მანდატები მათზე ბატონობისათვის კი გაინაწილეს თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა.

ამ ხნის განმავლობაში ევროპამ თითქოს განამტკიცა თავის მდგომარეობა. ვერსალის ზავით და უკანასკნელათ დაუესის გეგმის თანახმად სავსებით დაიმორჩილეს და გაუვლეფეს გერმანია. აქ ამერიკა გამოვიდა გერმანიის დამცველად და დაუესის გეგმით ცოტათი შეუმსუბუქა თავისი მძიმე მდგომარეობა.

ერთა ლიგაში უმთავრეს როლს თამაშობდენ საფრანგეთი და ინგლისი. მათ ერთა ლიგის საშვალებით თავის გავლენის ქვეშ დააყენეს ყველა პატარა სახელმწიფოები, რომელნიც მათზე იყო დამოკიდებული პოლიტიკურათ და ეკონომიურათ. ამის გამო, რომ ამერიკა ასე მტრულათ უყურებს ერთა ლიგის ყოველგვარ მუშაობას.

ამ ფაქტს ადასტურებს სწორედ, პრეზიდენტ კულიჯის, რომლითაც მიმართა მას ერთა ლიგის სამდივნომ, რათა ამერიკას გაეგზავნა თავის წარმომადგენელი იმ კონფერენციაზე, რომელსაც იწვევს ერთა ლიგა, სადაც განხილულ იქნება ოქმები საერთაშორისო ტრიბუნალის დაარსების შესახებ.

ამერიკა მხოლოდ იმ შემთხვევაშია თანახმა დაესწროს კონფერენციას, თუ მიღებული იქნება ოთხი მთავარი შუბლი: პირველი—სადაო საკითხები, რომელიც შესაძლოა წამოჭრას შეერთებულ შტატებს და ამერიკის მატერიკზე არსებულ სხვა სახელმწიფოს შორის, არ უნდა გახდეს საერთაშორისო ტრიბუნალის განხილვის საგანდ. მეორე—შეერთებულ შტატების მიერ საერთაშორისო ტრიბუნალის შესახებ ოქმებზე ხელის მოწერა, არ უნდა ჩაითვალოს ამერიკის იმ პოზიციის გამოცვლათ, რომელიც მას უკავია ერთა ლიგის მიმართ.

ასე თუ ისე ევროპის სახელმწიფოები და მასთან ამერიკა ვერ თანხმდებიან ერთა ლიგის ორგანიზაციის საკითხში. ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ერთა ლიგის პრეზიდიუმში გერმანიისთვის მუდმივი ადგილის მიცემის გამო, მათ რიგებში ერთი ხურზური ასუყდა, რამაც ერთა ლიგის სულის ჩამდგმელნი იძულებულნი გახადა, ეს შეთდგომისათვის გადაედოთ.

ამან კი მოამზადა კრიზისი, ხოლო ამ კრიზისის სამოლოო დაძლევა და ევროპის იმპერიალისტური ზრახვების ლიკვიდაცია შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ევროპის და აღმოსავლეთის გამოფხიზლებულ მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას. ეს მომენტი არ დავივიწყებს.

და მანამდის კი ერთა ლიგის სულის ჩამდგმელმა სახელმწიფოებმა თავი შეიკვიონ მშვიდობიანობის და სამართლიანობის ხმირკვლილობით და ამერიკამ კი განაგრძოს თავისი ბოიკოტი...

ს. მ.

ახალი რადიო ამბები

ჩინეთის ამბები

ლუ-ჩინ-ლინის ჯარების თავხედობა

ლი-ჩინ-ლინის ჯარებს ამ ერამდე უკავიათ ქ. ტიან—ძინი. ჯარები დიდ უწესოებას სჩადიან. მოსახლეობა შიშით თავზარდაცემულია. ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა. ვაჭრობა შეწყვეტილია. ჯარის ნაწილების უფროსები დაჰკრიან ქალაქში და ესხრიან მშვიდობიან მცხოვრებლებს.

პეკინზე შეტევის ცდები დამარცხდა

სახალხო არმიის მტრების საერთო შეტევა, რომელიც დანიშნული იყო 7 აპრილისთვის, ჩაიშალა. ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც რუს თეთრგვარდიელთა ხელმძღვანელობით სცდილობდა გაერღვია სახალხო არმიის ფრონტი, ტყვედ ჩავარდა.

მუშათა კონფერენცია კანტონში

კანტონში გაიხსნა მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობს 2.000 დელეგატი 200 სხვადასხვა ორგანიზაციიდან.

კანტონის გაფიცვები

კანტონის მთავრობისა და გონკონგის გუბერნატორს შორის სწარმოებს მოლაპარაკება გაფიცვების საკითხის მოგვარების შესახებ, რის (გაფიცვების) გამო გონკონგს დიდი ზარალი აქვს.

ამსტერდამი პროფკავშირების შესახებ

ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნობა ზანგრებისა ჟენევის გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა:

„ჩვენ არასდროს არ ვსთვლიდით, რომ პროფკავშირები გამოდგება, როგორც საშუალება, მსოფლიო რევოლიუციის განსახორციელებლად. თუ რომ რუსეთის პროფკავშირები დადგებიან ჩვენს თვალსაზრისზე ამ საკითხში, ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით ვით-ნაშრომლოთ მათთან".

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

14 იანვარს ლონდონის სავაჭრო პალატამ წარუდგინა მთავრობას მოხსენებითი ბარათი ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის შესახებ.

სავაჭრო პალატა ურჩევს მთავრობას დაარღვიოს ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება და აკრძალოს ინგლისში საბჭოთა სამრეწველო საქონლის გაყიდვა, რომელიც წინად ჩამორთმევამდე ეკუთვნოდა ინგლისის ქვეშევრდომებს.

სამინისტრო არჩევს სავაჭრო პალატის წინადადებას სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და აცხადებს:

„შეიძლება ინდოეთს მოეგო, რომ თავის დროს არ ყოფილიყო დადებული ეს ხელშეკრულება. აქედან რა თქმა უნდა არ უნდა დავასკვნათ, რომ ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს, რომ ინგლისის ინტერესები დღევანდელ გარემოებაში მოითხოვს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დარღვევას".

„ჩვენ არასდროს არ ვსთვლიდით, რომ პროფკავშირები გამოდგება, როგორც საშუალება, მსოფლიო რევოლიუციის განსახორციელებლად. თუ რომ რუსეთის პროფკავშირები დადგებიან ჩვენს თვალსაზრისზე ამ საკითხში, ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით ვით-ნაშრომლოთ მათთან".

საბჭოთა კავშირი სსრკ-ს ცაკის სესია.

ამხ. ცხაკაიას საუბარი საბჭ. კავშ. ტელეგრაფის საბაგენტოს თანამშრომლებთან.

სსრკ-ს ცაკის მეორე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თავი მოიყარა 120-ზე მეტ დელეგატმა.

საბჭოთა ტელეგრაფის საბაგენტოს თანამშრომლებთან საუბარში ამიერკავკასიის თავჯდომარემ და ცაკის პრეზიდიუმის წევრმა მიხა ცხაკაიამ დაახასიათა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობა 1917 წლიდან დღემდე, აღნიშნა ის შეუჩერებელი და გაცხოველებული მუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს საერთოდ და კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და დასასრულ განაცხადა:

„ჩვენი და საერთაშორისო მშრომელთა მეგობრების სასიხარულოდ და კომუნიზმის ყველა მტრების სამწუხაროდ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია დღითი-დღე იზრდება როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად".

ავარაკები გლეხთათვის.

25 აპრილს იხსნება გლეხთათვის ლივადიის ავარაკი.

გლეხებისთვის გადადებულია ავარაკზე 400 ადგილი სამკურნალო ტალახის ავარაკებზე პიატიგორსკში, სტარაია რუსაში, სერგეევის მინერალურ წყლებში, ავარკეთე ცომბრიასა და შორეულ აღმოსავლეთის კურორტებზე.

60 ადგილი იქნება ალუპკისა და გელენჯიკის სანატორიებში სპეციალურად გლეხთა ბავშვებისთვის.

საქართველოში.

შავი ქვის გატანა მარტოში

მარტის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურიდან გატანილ იქნა 31.176 ტონა (61 ფუთი) შავი ქვა.

სარწყავი არხი

დასრულდა სარწყავი არხის გაყვანა (ოზურგ. მაზრ.) 9 ვერსის მანძილზე. არხი რწყავს 3.000 დესეტინა მიწას.

არხის გაყვანა განხორციელებულ იქნა მოსახლეობის კოლექტიური შრომით.

გლეხთა ურთიერთ დამხმარე ორგანიზაცია

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დასრულა გურიაში გლეხთა ურთიერთ დამხმარე ამხანაგობის ორგანოების რევიზია.

გლეხკომების მუშაობაში აღნიშნულია დიდი მიღწევები.

ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ჩვენს ნაწილებში მრავლად მოიპოვებიან სხვა და სხვა ხასიათის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორიც არის „ავიაქიმი“, „რეშეტკა“ და სხვა.

უნდა ითქვას, რომ მუშაობა ამ ორგანიზაციებში ვერ მიმდინარეობს სათანადოთ და არ ძღვება იმ შედეგებს, რომლებსაც ჩვენ მისგან მოველით.

ბევრჯერ ითქვა და დაიწერა იმის შესახებ, რომ ზემოხსენებულ საზოგადოებების უჯრედები ნაწილებში უნდა გადავიქცეთ ნამდვილ მასიურ ორგანიზაციებად, სადაც აღიზრდები ნ ახალი ძალები საზოგადოებრივი მუშაკების.

რომ შევადარით მიღწევები მუშაობის სხვა დარგში და ამ უკანასკნელ-ში, დავინახავთ რომ ამ უკანასკნელში ჩვენ ძალიან ჩამოვრჩით უკან.

მიზეზები, რომლებიც უშლიან ხელს მუშაობის გაფართოებას-განვითარებას, არიან, ჩვენის აზრით, შემდეგნი: არ არის საერთო, გარკვეული სისტემა ორგანიზაციულ მოწყობის, არ არის ყოველთვის საჭირო ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციების ხმრივ, საზოგადოებრივ ორგ ნიზაციების წევრები არ არიან ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში, ორგანიზაციების მუშაობა არ არის დაკავშირებული წითელ არმიელთა სწავლების და აღზრდის სისტემასთან და ბოლოს მუშაობას ზიგ ორგანიზაციებში არა აქვს სისტემატიური ხასიათი.

ეი ამას უნდა მიეცეს სათანადო ყურადღება და უნდა ვეცადოთ მთელი შემადგენლობა ნაწილის ჩავაბათ საზოგადო მუშაობაში და ჩუნერგოთ მას საზოგადოებრივი შეგნება.

მტკიცედ უნდა ჩამოყალიბდეს ამა თუ იმ ორგანიზაციის უჯრედი ელეულებში, რომელიც ხასათიში ეგაომება ერთი ძლიერი გამგეობა.

პარტორგანიზაციებმა უნდა გაძლიერონ ხელმძღვანელობა, მიღებულ უნდა იქნეს ზომები მუშაობის გამოცოცხლებისთვის რაც დღეს დღეობით მოვლინება.

რაც შეეხება თვით მუშაობის შინაარსს, აქ ჩვენ იგი უნდა მჭიდროთ დაუკავშიროთ წითელ არმიელთა სამხედრო-პოლიტიკურ აღზრდის საკითხებს.

„ავიოქიმის“ მუშაობა დაუკავშირდება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხებს, აგრეთვე „რემეფასის“ მუშაობა—წითელ არმიელთა ინტერნაციონალურ აღზრდას.

საჯვირო კომისიების მუშაობაში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მისი ფუნქციები ჩაბჭვა-შეროთ პარტაპარატს და ჩავაბათ მასში უფრო მოწინავე და უნარიანი წითელ არმიელები მის მუშაობაში კავშირის გასაუმჯობესებლათ მუშათა ორგანიზაციებთან, სკოლებთან და უვადო შვებულებაში გაშვებულ წითელ არმიელებთან.

ცხადია, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მტკიცე კავშირი უნდა ჰქონდეს კლუბებთან, ღრმკუთხეებთან და პარტპოლიტმუშაობასთან.

უნდა გავაფართოოთ ამ ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობა, ფართეთ გამოვიყენოთ ყველა საშუალებები, რომელნიც ძ მოგვეპოე ინ ნაწილებში: კუთხეების მოწყობა, მოხსენებები, ცალკე ეკითხების შესწავლა კოლექტიური კითხვათა ჩატარება და სხვა.

საზოგადოებრივ ორგანიზაციების გადაქცევა ნამდვილ მასიურ, თვითმოქმედ და წითელ არმიელთა აღმზრდელ ადგილად დამოკიდებულია სრულიად იმ ყურადღებაზე, რომელსაც უნდა აქცევდეს მათ ნაწილის პარტიული ორგანო.

—ი.

თადარიგის მეთაურებზე.

ამხ. ვოროშილოვის მოხსენებიდან სჩანს, რომ მეფის არმიაში (რუსეთის) თითო ოფიცერზე მოდიოდა ათი—თადარიგის ოფიცერი. დღეს მთელი მსოფლიოში, მაგალითად: ამერიკაში და სხვაგან ამ საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს მიპყრობილი. აღნიშნულ ქვეყნებში თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის მოზადება ხდება, თითქმის 12 წლიდან, რომლებსაც წვრთნიან სათანადოდ და საშუალო და უმაღლესი სწავლის გთა ვებულებს.

ისინი გადიან როგორც თეორიულ ცოდნას, აგრეთვე რამოდენიმე სპაბანაკო შეკრებას, მხოლოდ გამოცდების შემდეგ სამხედრო მეცნიერებაში, გად რიტული იქნებიან თადარიგში, როგორიცაა 1-ლი რიგის მე-2 და უვადო შვებულება. დღეს, საერთოდ, ჩვენ წითელ ჯარში თადარიგის მეთაურთა საკითხი არ არის სათანადოთ მოგვარებული, მაგრამ დიდი ნაბიჯია ამ მხრივ გადადგმული: ეს ამ-ცანა უსათუოდ ჯეროვანად იქნება შესრულებული უახლოეს დროში —დღეს ჩვენ უნდა ვეცადოთ თადარიგის შექმნას აუცილებლად საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში; მაგრამ წინასწარ, ამ სასწავლებლებში შესვლამდი უნდა მოხდეს ახალგაზრდობის მომზადება, ე. ი. უნდა გაიაროს 1-ლი საფეხურის სკოლები, სადაც ელემენტარული ცნობები სამხედრო საქმის მიიღონ. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში—ეს საკითხი ორგანიზაციულად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული ყოველმხრივ, რის შემდეგ მოწაფეც არ ჩამორჩება სწავლას და საშვალებაც—მიეცემა, რომ მოიხდოს სამხედრო მოვალეობა და თანაც გახდეს—თადარიგის მეთაური. სხვა გზით თადარიგის შექმნა, ჩემის აზრით, მიუღებელი იქნება. რაც შეეხება ნამდვილი თადარიგის მეთაურს—ეს საკითხი დადებითად ძირის მოგვარებული ორგანიზაციის საშუალებით და შედეგიც კარგი აქვს: რადგანაც—გარნიზონის მაბატების ორგანიზაციიდან გამოყოფილი ჯგუფები, ხსენებულებს სასწავლო წერტებზე გაუწევენ ხელმძღვანელობას და სხვ.

დღეს საბჭოთა მთავრობის ლოზუნგია თადარიგისა და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ მეთაურებს შორის კავშირი ანდა მათი ურთიერთდაახლოება; ამიტომ, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება,—კავშირი უნდა გამტკიცდეს. რაც საკვირველია, არა მხოლოდ წერტებზე გაწვევით მათი გადამზადებით და სამხედრო დაწყებულთა მოსამზადებლად მიზიდვით, არამედ წერტებზე მყოფ უფროსიტ-ემდგენლობამ, რითაც მოსახერხებელია —განმტკიცოს კავშირი ნამდვილ სამსახურში მყოფ მეთაურებთან, ხოლო სადაც ეს არის, იქ ის თადარიგის მეთაური ახლოს იქნება სამხედრო საქმესთან და სხვა.

ვ. ქუთელა.

საჭიროა მეცადინეობის მეთოდის შეცვლა.

ყველა ლეგიონში არსებობს უმცროს მეთაურთა სკოლა. სკოლაში ითვლებიან ლეგიონის ყველა ისეთი წითელარმიელები, რომელნიც დამთავრებული აქვთ საშვალო სასწავლებლები და აგრეთვე ისეთნი, რომელნიც შედარებით კარგი მომზადებული და განვითარებულია. სკოლაში მეცადინეობა სისტემატიურად მიმნარეობს ყოველ დარგში. უმცროს მეთაურთა სკოლის დიდი ყურადღება ექცევა ჯერ ლეგიონებისაგან და მერე დივიზიისა და არმიისაგან. მოცემულია პროგრამა, განსაზღვრულია დრო სკოლის პროგრამის დამთავრებისა და დამთავრების შედეგ სკოლამ უნდა მისცეს ნაწილებს უმცროსი მეთაური, რომელსაც შეეძლება, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და სპორტის საქმეში განმანათლებლო მუშაობა აწარმოოს წითელარმიელთა მასაში. წ.-არმიის მშენებლობაში, როცა უდიდესი ნაბიჯებია გადადგმული, რათა ორ უფროსობიდან გადავიდეთ ერთიუფროსობაზე, საჭიროა სამხედრო მცოდნე შეძლოს პოლიტიკური და საერთო საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება წითელარმიელებში და მეთაური გახდეს პოლიტ-ხელმძღვანელიც. ამ მხრივ საჭიროა დაწყებულ იქნას მუშაობა უმცროს მეთაურებიდან, რაიც ჯამიდეს უდიდეს შედეგებს. სკოლიდან გამოსულ უმცროს მეთაურებიდან ბევრი აცხადებს სურვილს წ. არმიაში დარჩენის შესახებ და ამიტომ საჭიროა ვყავდეს ყველა ისეთი უმცროსი მეთაური, რომელიც შეძლებენ პოლიტ-მეცადინეობას (ჯგუფის ხელმძღვანელობას). პოლიტცოდნის მიღება სკოლის მცოდნე ჯგუფში შეფიცრისად ვერ მიმდინარეობს. ჯგუფის წევრების მეცადინეობა ვერ აძლევს იმედს, რამდენიც საჭირო, რათა შეეძლოთ ჯგუფის ხელმძღვანელობა ნაწილში გასვლის შემდეგ.

პოლიტიკური მეცადინეობა რომ დავაყენოთ სკოლაში თავის სიმაღლეზე, განსაკუთრებით, მცოდნე, საშვალო სასწავლებელ დამთავრებულთა ჯგუფში, საჭიროა გამოცდილი იქნას მეცადინეობის მეთოდი. კომპლექსური სისტემით მეცადინეობა დიდ შედეგებს იძლევა უცოდნარ და მკრივ მცოდნე ჯგუფში; რაც შეეხება მცოდნე, საშვალო სწავლის კურს დამთავრებულ ჯგუფში, საჭიროა შეცვლილ იქნას მეცადინეობის მეთოდი ლაბორატორიული მეთოდით.

მთავარია ჩვენი ნაწილის სინამდვილე არ იძლევა შესაძლებლობას ასი პროცენტით გატარებული იქნას ლაბორატორიული მეთოდით მეცადინეობა, მაგრამ აშკარაა, უფრო დიდი იქნება შედეგები, ვიდრე დღეს, პოლიტმეცადინეობას კომპლექსურ მეთოდით. მთელი პოლიტიკური ლიტერატურა ნაწილებში უმთავრესად მოიპოვება რუსულ ენაზე; რუსული ენა, მცოდნე ჯგუფის წევრების უმეტესობამ იცის და ამიტომ, ჩემის აზრით, რომ შეესძლოთ უმცროს მეთაურის გაგზავნასთან ერთად გაეგზავნოთ პოლიტბეჭდვითნი ნაწილში ჯგუფის ხელმძღვანელი და საერთო პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკი, უნდა იქნას შეცვლილი მეთოდი პოლიტმეცადინეობისა და ფართოდ იქნას გამოყენებული თვითმოქმედება სხვა და სხვა პრაქტიკული მუშაობის შესრულებით ჯგუფში—ჯგუფის წევრების მიერ პოლიტბეჭდვანელობის ქვეშ. საჭიროა ამ კითხვაზე გამოსთქვან ამხ. თავიანთი აზრიც და ამით ჩვენ უფრო მოვახდენთ გამოცდილების შეკრებას შემდეგ წელში მაინც და ხელს შეეუწყობთ წ.-არმიის მშენებლობაში ღირებული მუშაკ გლეხურ მეთაურთა შემადგენლობის სწორ აღზრდის საქმეს ღირსეულ მუშაკის მიღების მიზნით ყოველ დარგში.

ტ. მამალაძე.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი
„წითელი არმიელი“

ასეულის ლენკუთხის კითხვა-პასუხის რვეულების შესახებ.

ჯერ კიდევ გასულ წელს რუსპოლიკის პოლიტსამართველოსთან მოწვეულ კომუჯრედის მდივანთა თათბირმა თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ პარტორგანიზაციის ერთ ერთ პირველ ხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს თავის დროზედ არგარაშის გაწევა წითელ არმიელთა მასის მიერ წამოყენებული ყველა შეკითხვებზე და მოთხოვნილებებზე. სწორედ ამ მიზნით არის შემოღებული ასეულებში კითხვა-პასუხის რვეულები, რომლის მნიშვნელობა პოლიტიკურ მუშაობისათვის მეტად დიდია.

პირველ ყოვლისა კითხვა-პასუხის რვეულების საშვალებით ჩვენ ვაწარმოებთ პოლიტიკურ აღზრდელობითი მუშაობას წითელ არმიელთა შორის და ვაკავშირებთ მათ უფპოლიტშემადგენლობასთან. ამის გარდა ეს რვეულები იძლევიან მდიდარ მასალას წითელ არმიელთა მოთხოვნილებების და განწყობილების შესწავლისათვის; ეს რვეულები წარმოადგენენ ასეულის სარკეს, თუ მუშაობა სათანადო სისწორით არის დაყენებული.

რას ვხედავთ ჩვენ სინამდვილეში?

მიუხედავათ იმისა, რომ რვეულები შემოღებულია თითქმის ყველა ასეულებში და ცალკე გუნდებში, კიდევ მრავალ ნაკლულოვანებას აქვს ადგილი მათი წარმოების საქმეში. ზოგ შემთხვევაში კითხვა-პასუხის რვეულები არის გადაქცეული გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონად, არის გამო თუ წითელი არმიელი ხედავს რვეულში პასუხს და განპირატებას ძრავალ მნიშვნელოვან საკითხზე, მას ეჩვენი ეპარება, ნუ თუ რვეული მისცემს მას პასუხს ქარის გაცემის შესახებ, რაც მას ეღელეს აინტერესებს. გარდა ამისა პასუხები რვეულებში უცხო სიტყვებზე მოუყვანილია ზოგჯერ ისეთი მაზინჯი დაგეურკვეველი, რომ სარგებელის მაგიერ უფრო ზიანი მოაქვს წითელ არმიელის განვითარებისათვის.

მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს.

შეკითხვა: „რას ნიშნავს კოოპერაცია?“

პასუხი: „კოოპერაცია ნიშნავს საზოგადოებას ღარიბ ხალხისა, ამხანაგობას საკუთარ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

შეკითხვა: „რას ნიშნავს ცეხური უჯრედები“.

პასუხი. „ეს არის გლეხური, ს-ფლის უჯრედები“.

უკანასკნელ პასუხს აძლევს ოცეულის თავი, რომელიც შეიძლება პოლიტიკურ მეცადინეობასაც აწარმოებს ჯგუფში.

არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც გაუგებარი სიტყვა იხსნება კითხვა-პასუხის რვეულის გამგის მიერ ისევ გაუგებარ სიტყვების საშვალებით.მაგალითი:

შეკითხვა: „რა არის ლენინიზმი?“

პასუხი: „ლენინიზმი—ეს ისეთი მოძღვრებაა, რომელიც გამოხატავს პროლეტარიატის დიქტატურით სოციალიზმის დამყარებას. ლენინიზმი—ეს ბრძოლაა ყველა ოპორტუნისტურ პარტიასთან, რომელიც კი უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურის ბატონობას“.

ახალწვეული წითელ არმიელი, თავის ერთ გაუგებარ სიტყვის მაგივრად, რომელიც მან შეიქნა კითხვა-პასუხის რვეულში, პასუხში ღებულობს რამოდენიმე გაუგებარ სიტყვას. ცხადია, რომ კითხვა-პასუხის რვეულებს ამის შემდეგ ეკარგებად ყოველგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

სხვა შემთხვევაში თუმცა პასუხი სწორად არის გაცემული, მაგრამ ისე გაურკვეველად არის დაწერილი, რომ შეიძლება თვით დამწერმაც სხვა დროს თავის პასუხი ვერ გაარჩიოს.

ამასთანავე დაუშვებელია კითხვა პასუხის რვეულის წაღება ლენკუთხიდან პასუხის გასაცემად.

ზოგჯერ პოლიტბელი რამოდენიმე დღით „ივიწყებს“ რვეულის დაბრუნებას ლენკუთხეში, რის გამო თუ წითელი არმიელი ვერ ხედავს რვეულს დანიშნულ ალგას, შეიძლება სხვა დროს მას დავიწყდეს კიდეც ის შეკითხვა, რომელიც მას უნდა მოეთავსებია აღნიშნულ რვეულში. ამიტომ რვეულის წაღების მაგიერ პასუხის გასაცემად შეკითხვებზე, შეიძლება უკანასკნელების ცალკე ამოწერა და არა მთელ რვეულის წაღება ლენკუთხიდან.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გულგრილობა,რომელსაც იჩენს ზოგი ამხანაგი კითხვა-პასუხის რვეულებში პასუხის გაცემის დროს.

მაგალითი:

შეკითხვა. „ქამრებს და ტოლაღებს როდის მოგვცემენ“.

პასუხი. „ქამრებს მიიღებთ თუ ასეთები გვქვს“.

აქ არც ერთი სიტყვა არაა პასუხში ტოლაღების შესახებ, რაზედაც აგრეთვე არის შემოსული შეკითხვა. ამის გარდა პასუხიდან სჩანს, რომ მის დაწერს არაფერი არ გამოურკვევია შეკითხვის ირგვლივ, რის გამო პასუხიც მოკლებულია რაიმე მნიშვნელობას. ასეთი ფორმალური და „ჯახიონური“ დამოკიდებულება პოლიტმუშაობის ისეთ მნიშვნელოვან ნაირობან, რასაც კითხვა-პასუხის რვეულები წარმოადგენენ, სრულიად უნდა აღმოიფხვრას, რაც პარტორგანიზაციის მოვალეობას წარმოადგენს.

დასკვნა.

1. სასურველია ჩვენის აზრით ცალკე რვეულების შეტყის ძაგივრად, რომელიც ლენკუთხიდან.

2. ყოველ შეკითხვაზე უნდა იქნეს გაცემული გასაგებ ენით დაწერილი ამომწურავი პასუხი. შეკითხვის გამორკვევა მოითხოვს დიდ დროს, სჭირთა ამის შესახებ ცნობოს შემკითხველს. ამის გარდა შეძლებისდაგვარად ყოველ პასუხთან უნდა იქნეს აღნიშნული, რომელ წიგნში ან მთავრობის რომელ დადგენილებაში შეიძლება ამა თუ იმ საკითხის გაცნობა მეტი დაწვრილებით.

3. პასუხის გაცემის წინ კარგია სხვა ამხანაგების აზრის გაგებაც ამა თუ იმ საკითხის გარშემო, რათა არ ქონდეს აგვიანი ზეპირად მოყვანილ შეცდომებს.

4. კითხვა-პასუხის რვეულების მცსალების თანახმად უნდა ეწყობოდეს კითხვა-პასუხის სალმოები.

5. ყოველივე ზემოდ ნათქვამი საკმაოდ ნათელჰყოფს კითხვა-პასუხის რვეულების მნიშვნელობას და გვავალებს ჩვენ, პოლიტმუშაკებს მეტის ყურადღებით და პასუხისმგებლობით ვაწარმოოთ ეს მუშაობა.

ი. რუდოვსკი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲘᲓ ᲐᲥᲢᲘᲝᲑᲐᲡ ᲘᲩᲔᲜᲔᲜ.

მე-2 საკავშირო ასეული

ჩვენი ასეული სამაგალითოდ მოეწყო ამ დიბოლოს. დიბით გაიზარდა წითელ არმიელების აქტიობა, როგორც სამეღრო ისე კულტურულ-პოლიტიკურ მეცადინეობის დარებში.

გვაქვს სამუშაო ლაბორატორიები, რომლებიც ყოველ სავსე არიან მომუშავე წითელ არმიელებით. კარგი ინდივ აუსრულებენ წითელ არმიელებს ეს სურვილსაც: მეად მოწადინებული არიან სწავლაზე და ხშირად მოიგონებენ ოლმე, რომ მათ არ ყავთ ლექტორი.

ხშირად დაიარება ასეულში სამხკომი და ატარებს საუბრებს სხვა და სხვა საკითხებზე, რასაც დიდი ინტერესით ეკიდებიან ამხანაგები.

სამხკორი გორელი.

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

ცხენ. ლეგ. 1-ლი ესკადრონი

5 აპრილს ესკადრონში შეგრის ითამაშებს მომავალი ომიანობის დროს უადრეს ტექ ტიკურად განვითარების შესაძლებლობამდე მისული ავიაცია.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა სპჰარო ფლოტის უჯრედში წევრების მიღების კამპანია. მრავალი წითელ არმიელები ჩაეწერენ უჯრედში იქვე, და თან განაცხადეს, რომ გასწვლენ აგიტაციას სხვებთანაც, ასევე მოიქცენ.

სამხკორი პ. კახიძე.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲗ, ᲕᲘᲜ ᲕᲐᲕᲐᲚᲗ.

ელი ლეგ. სამთო ბატარეი ბელრო მომზადების საქმეს, ის ბატარეის უფროსი დროთ მეცნიერი ხელმძღვანელია კულით მეცნიერით იქნა ლენინ ტურულ-პოლიტიკური მუშაგრადის კურსებზე. მის მაგივობისაც. ხშირად ესწრება წიად დანიშნული იქნა ოცეუთო არმიელების სხვა და სხვა ის მეთაური ამხ. პეტრიაშვი წრეების მეცადინეობას, პოლიტი, რომელიც კეთილსინდისიათის საათებს და თავისი ცოდნით ერად ასრულებს თავის მოვა აკვირვებს წითელ მოლაშქრეებს. ლებას.

ლენინშვილია ამ ამხანაგის საპირისპიროდ იმ ამხანაგის დამოკიდებულება წითელ არმიელებთან. მან დიდი ალმზადებული და სიმედოვნო ინდივიდუალური უნარი გამოიჩინა. დასაწყენი იქნება საბჭოთა ხელისარება იმისა, რომ ენერგიულად უფლებებისათვის. ხელმძღვანელობს ნაწილის სამ-

ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

მე-4 საბრ. სამნეო ასეული.

მარტის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა ასეულის გაერთიანებული კრება. დაესწრო უფასლიტშემადგენლობაც. მოსმენილი იქნა ასეულის თავის ინფორმაციული ხასიათის მოხსენება ნაწილის საერთო მდგომარეობის შესახებ, ცნობათა მაგიდის არჩევის და რემედასის და ავიაციის უჯრედების მნიშვნელობაზე.

ასეულის თავის მოხსენებიდან გამოაშკარავდა ყველა ის წარმატებები, რომლისთვისაც მიეზღვევა ასეულის მეთაურთა შემადგენლობას თავისი მუშაობით. ამჟამად მიღებული ყოფილა ზომები ასეულისთვის უფრო დიდი შეწობის გამოძებნი, სათვის. მოკლე ხანში შეძენილი იქნება აგრეთვე სათი, რაც ძლიერ აკლდა ნაწილს.

მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი და მადლობა გამოეცხადა უფროსს.

შემდეგ საკითხებზე გამოვიდა პოლიტბელი. ის შეეხო თუ რა სარგებლობა მოაქვს ცნობათა ბიუროს და როგორი ხასიათის შეკითხვები უნდა იეზიენებოდეს წითელ არმიელებისაგან იქ. ასევე აღნიშნა რემედასის და ავიაციის მნიშვნელობა.

მომდინარე საკითხებში შეტანილი იქნა წინადადება, რათა ასეულში მოწესრიგდეს სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთების გამოწერის საქმე, რაც კრებამ აუცილებელ საჭიროდ ცნობა.

სამხკორი ბახტაძე.

ᲛᲝᲖᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲮᲔᲚᲘᲐᲜᲘ „ᲙᲠᲣᲨᲙᲔᲑᲘ“.

სამხედრო ჰოსპიტალში ეს ერთი ხანია ავადმყოფებისათვის მოაქვთ ჩაი უხეული „კრუშკებით“. დერეფნებიდან თვითონ ავადმყოფებს უხდებათ ჩაის წაღება, რომლის დროს ხელები გვეწვის.

ხშირი იყო შემთხვევა ადუღებული წყლის მუხლებზე გადასხმის, რომ ხელები ვეღარ გაუძლებდენ „კრუშკების“. მიაქციეთ ამ გარემოებას ყურადღება. მოგვეციით კარგი „კრუშკები“.

სამხკორი შრაპნელი.

ᲛᲝᲖᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ.

მე-2 საკავშირო ასეულში დაარსებულია ლიტერატურული წრე, რომელსაც ყავს ხელმძღვანელიც. სამი-ოთხი თვე გადის რაც წრე უმოქმედოთ არის, ყველა დანარჩენი წრეების ხელმძღვანელები ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ლიტწრის ხელმძღვანელის ნამუშევარი ჯერ არაფერი სჩანს რას აკეთებს არავინ იცის. არცერთი მეცადინეობა არ ჩაუტარებია ჯერ წრეში იმ დროს, როდესაც ყველაზე უფრო სწორედ ეს წრე ინტერესებთ ჩვენს წითელარმიელებს.

საჭიროა გამოიძებნოს ისეთი ამხანაგი მის ადგილზე, რომელიც შესძლებს თავის მოვალეობის შესრულებას და საქმესაც ენერგიულად მოეკიდება.

წ. არმ. ოქროს უბნელი.

ᲬᲙᲘᲞᲣᲠᲢᲔᲑᲘ.

(სამხკორთა წერილებიდან)

ᲓᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ.

ქართველებს, ისე როგორც სხვა ადმოსავლეთის ხალხებს, ძალიან გვიყვარს მუსიკა.

სხვებზე არ ვიტყვი, მაგრამ როცა მე შემომესმის ზურნის ხმა, ხელები უნებურად გამეშლებიან და ფეხები ჩემდა დაუკითხავად იწყებენ ლეკურს. ვის არ უფრქვევია ცრემლები და მწარეთ არ უთქვამს „დაიწვას შენი დამწვეული“, ოდეს სმენია დუდუკის გულსაკლავი ბაიათი, შიქასტა ან მუხანბაზი.

და „ავადმყოფმა ამხანაგებმა ქართველებმა (საბჭოთა ჰოსპიტალში) შეგროვეს ფული“ და დიდი სჯისა და ფიქრის შემდეგ გადასწყვიტეს ამ ფულით შეეძინათ . . . დოლი. შეიძინეს კიდეც, გულის გასართობათ.

მაგრამ ვაი იმ შეძენას და გულის გართობას. [მოეშზადება თუ არა მედოლე და დასცხებს დოლს, მაშინვე გაჩნდება მამასახლისი.

— არ შეიძლება დოლის დაკვრა! მე, მამასახლისი გიბრძანებთ შესწყვიტოთ მისი ხმა.

— რათა, დიდებულო მამასახლისო, გულს ვირთობთ დოლის ნარნარი ხმით, დაგვრთეთ ნება.

— არა და არა.

აბა, რას იზამ? მართლაც, რომ დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდენ ავადმყოფნი, თან სიყვარული დოლისადმი, თან მამასახლისი, აბა სად წახვალ?

გადმომცეს, ვითომ განუზრახავთ დოლის გაყიდვა, მაგრამ მყიდველი ვერ უშოვიათ.

იქნება, ვინმემ აღმოუჩინოთ დახმარება დოლის მოყვარულთ!

ᲐᲛᲒᲐᲕᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡᲘ.

და გადასწყვიტეს:

ვინაიდან არ გვინდა სასადილო, დაიკეტოს. ჩვენ უომისოდაც კარგად გავძლებთ.

გადაწყვეტილება მდივანმა შეიტანა ოქმში და სასადილო უფასლიტშემადგენლობის დაიკეტა.

— ბიჭო! სად მიჰქრი ასე აღრიან მაგ გოდრით?

— ბაზარში ძმაო, სასადილო დაგვიკეტეს და სახლში ვაკეთებ სადილს. ვდგები დილის 3 საათზე, რომ სანოვაგე ვიყიდო, სადილი მოვხარშო და მერე წავიდე ლეგიონში სამეცადინოთ.

— ეგ, რა გიყიდნია, ან რათ გინდა ამდენი რამე?

— ეს ძმაო, იმის ბრალია, რომ სასადილო დაგვიკეტეს ვიყიდე სამი თვის საგმალი გუშინდელი ჯამაგირით. გავიკეთებ ერთად სამი თვის სადილს, მაშ მშიერი ხომ არ მოვკვდები.

გადიოდა ხანი. თვის დამლევი იყო.

ბათომის № ლეკიონის უფასლიტშემადგენლობას დაეტყო რაღაც არა ჩვეულებრივი იერი. ყველა ჩამოხმა, გაყვითლდა, ჩონჩხს დაემგვანა.

„სასადილო, სასადილო, შენ მოგიკვდეს დამკეტავი რად დაგვტოვე უპატრონოთ, რაზე გვიყავ საქმე ავი. აი, ხელავ სამშილითა მთლად ყველასა გვხდება სული, არსაიდან დახმარება, არც ჯიბეში არის ფული“— მღერიან მწუხარე ხმით, მღერან სასადილოს დაკეტილ კარებთან.

მე კი გეტყვით:

„რაც კაცი თავის თავს უზამს—მტერი არ მოეკიდება“.

ᲒᲘᲜᲔᲑᲐ, ᲘᲡᲔᲕ ᲒᲘᲜᲔᲑᲐ

აი, მნახველი, ძალიან უწყრება 1-ლ ლეგიონის სამნეო (უმწყობრო) გუნდს: ძალიან უღმერთოდ, იგინებიან სადილის დროსაც კიო. ეტყვი პატრონსან სიტყვ ს, ისინი გინებით გაპასუხებენო.

მართალი ხარ, მნახველო. მეც ზოგიერთმა გადმომცეს ეს საწუხარო ამბავი. აბა, ერთი შენ მითხარი, რასა ჰგავს გინება სადილის დროს, თუ გინება უნდათ მაგ დალოცვილის შვილებს, შეიგინონ ისეთ ალაგს, სადაც ეს მოსახერხებელია, მაგრამ გინება სადილის დროს?—ეს, ცოტა არ იყვეს—უადგილოა.

შენის რჩევით, მნახველო („ჯამაგირი“როგორ დაგეწერა, უფროს კარგი იქნებოდა) მეც ვურჩევ სამნეო გუნდის უფროსს გამოუცხადოს ამ მოვლენის ბრძოლა სასტიკი, ბრძოლა დაუნდობელი, ბრძოლა სიკვდრო—სასიცოცხლო.

მეტი რა გავაკეთო?

ე. ხ.

ᲮᲔᲚᲡ ᲒᲕᲘᲨᲚᲘᲐᲜ.

მეორე ლეგიონის სკოლაში ჩამოყალიბებული გვაქვს სხვა და სხვა ბირთვები, რომლებშიდაც სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა. სამწუხაროდ ზოგიერთი ამხანაგები იმდენად ჯიუტობენ, რომ შამოდიან მეცადინეობის დროს და გვიშლიან ხელს.

დღემდე არ გასჩენია მათთან არავითარმა თხოვნამ. საჭიროა ჩვენი მესვეურები მაინც მიაქციონ ამას ყურადღება და გვიხსნიდნენ დაუპატიჟებელი სტუმრებისაგან.

სამხკორი ტარჩენისპირელი

ჩვენი პარტიის და კომპავშირის ცხოვრება

ჩვენი საქმიანობა.

1-ლი არტლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის ჯგუფის მუშაობა შედარებით გასულ წელთან საკმაო ნაყოფიერებით მიმდინარეობს. კრებები სისტემატიურად ეწყობა თვეში ორჯერ. ღია კრებებზე მუდამ ესწრებიან უპარტიო წითელ არმიელები და ენთუზიაზმით ხვენს მუშაობას. ბევრი არიან კავშირში შემოსვლის მსურველები. ჯგუფი სერიოზული ყურადღებით ეკიდება წითელ არმიელების ასეთ სურვილს და დირსეულთათვის ყოველთვის ღია აქვს თავისი კარები.

ჯგუფი ხშირად ატარებს საუბრებს ლენკუთხეებში. ვაწარმოებთ დღიურს, წევრების მოვალეობისა თა მისი შესრულების შესახებ. მჭიდრო კავშირი გვაქვს სამოქალაქო ორგანიზაციასთან, რომელზედაც მიმაგრებულია ერთი ამხანაგი. თავის ხშირ ჩვენთან კავშირში მყოფი ფინსახკომის უკრედი გვიწყებს დახმარებას სხვა და სხვა მასალების მოწოდებით.

ამას გარდა კავშირში ვიმყოფებით ავტეთვე სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებთან. ეს კავშირი უმთავრესად არის ცოცხალი ხასიათის.

საბჭკორი გ. იაკობიძე.

როგორ ეხმარებიან ჩვენი ნაწილები სოფლებს.

ჩვენი შეფი მე 3 ლეგიონი.

(წყალტუბოს თემი).

დიდი ხანია მას შემდეგ რაც, რომ ჩვენი სოფელი წყალტუბოს თემი, შეფობის ქვეშ აიყვანა მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონმა; პირველ ხანებში ხსენებული ლეგიონი უფრო გულგრილობას იჩენდა დახმარების საქმეში, მაგრამ ერთ წელზე მეტია რაც ის გულმოდგინეთ შეუდგა საშეფო მუშაობას.

გზავნიან ხშირად ხელმძღვანელებს სხვა და სხვა რევოლიუციურ დღესასწაულებზე სახელმო სხდომების ჩასატარებლად, როგორც პარტორგანიზაციებში, ისე უპარტიო გლეხობის კრებებზედაც.

გვიგზავნიან ლირიტ მოწაფეთათვის და ლიკპსკოლებისათვის რვეულებს, ფანქრებს და სამელნეებს.

მოგვიწყვეს თეატრი ქოხ-სამკითხველოში სამხედრო კუთხე, რასაც დიდი ატაცებით ეგებება გლეხობა.

კარგი იქნებოდა რომ, ჩვენი შეფი მე 3 ლეგიონი მოგვიწყობდეს ამავე ქოხ-სამკითხველოში ლენინის კუთხეს, ისეთს როგორიც მათ აქვთ ასეულში.

იმედია ჩვენი შეფი ამ თხოვნასაც შეიგვისრულებს. განზრახულია აგრეთვე რომ ეწვიონ წყალტუბოს სამხედრო ორკესტრით და გაუმართონ გლეხობას ეს სა წარმოდგენა.

ჩვენს შეფს ამასთანავე აქვს გამოწერილი ჩვენთვის რამდენიმე ცალი სხვა და სხვა გაზეთები, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ვღებულობთ. კარგი იქნება თვით ლეგიონი მიიღებდეს ამაზე ზომებს.

კლუბის გამგე ამბ. ჯალდა დაგვპირდა კედლის გაზეთის სათაურის დახატვას. ლეგიონის სამხკომმა ამაზე განკარგულებაც გასცა. კარგი იქნება რომ ამხ ნაკი დაჩქარებდეს მის შესრულებას—და მოგვაწვდიდეს ჩქარა.

მადლობას უცხადებთ ჩვენს შეფს მუშაობის გამოცოცხლებისათვის.

ახკორი დ. კინწურაშვილი.

მოსპეთ ნაკლულევანებანი

გაგვიხსენით კოოპერატიული დუქანი.

ქართული დივიზიების ყველა ნაწილებშია გახსნილი კოოპერატიული დუქნები. მე-4 ლეგიონში კი ასეთი დღემდე არ არსებობს.

წითელ არმიელებს კერძო ვაჭრებთან უხდებათ სიარული აუცილებელ მოთხოვნილების საგნების საყიდლად, რომლებიც მამასისხლათ გვყიდიან ყველაფერს.

გაგვიხსენით ჩვენც ერთი კოოპერატიული დუქანი და ნუ ჩაგვყრით კერძო ვაჭრების ხელში.

საბჭკორი მ. ი.

რად არ აძლევენ ყურადღებას?

მე-2 საკავშირო ასეულში იმყოფება ორი ვენერიული სენით დაავადებული ავადმყოფი წ. არმიელები. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა ისინი საერთო ბურჭლებს ხმარობენ და არ ერიდებიან დანარჩენ წითელ არმიელებს, რომლებსაც შესაძლებელია გადადონ სენი. ექიმები ყურადღებას არ აქცევენ მათ.

საჭიროა გადაიყვანონ ისინი საავადმყოფოში და გვიხსნან საშიშროებისაგან.

საბჭკორი საგინაშვილი.

ვემზადოთ განაკოგისთვის.

უმთავრესი ამოცანები.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენი წითელი ჯარის ნაწილები დაამთავრებენ სამოსწავლო წელს, ე. ი. საბედრო და პოლიტიკურ დარგში თეორიული ცოდნის შეძენას. ეს თეორიული ცოდნა გაღრმავებულ უნდა იქნას პრაქტიკაზე ბანაობის პერიოდში; აქ იკრიბებიან ჯარის ნაწილები ყოველგვარი სავალე სამსახურის გასავლელათ, საომარი სროლის საწარმოებლათ და ყოველგვარი ჯ რების შეერთებების—შეერთებული ტაქტიკური სწავლა მომზადებისათვის. წელს პრაქტიკული მეცად ნეობა საბანაკო პერიოდში უნდა გაორკეცდეს ყოველმხრივ, ვიდრე გასულ წელში. დაკვირვებით უნდა შევისწავლოთ და შევითვისოთ ჯარების შეერთების—შეერთებული ტაქტიკური მომზადება, საომარი სროლა სხვა და სხვა იარაღებიდან, სიმენელეების ჯადალხვა და სხვა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ავიოქიმიას, როგორც მომავალი ომის მნიშვნელოვან საქმეს. საბანაკო პერიოდი პრაქტიკაში გვკირგვინებს თეორიულ ცოდნას; წელს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ახლო-მახლო მოსახლეობის გასაზედროებას და პარტკულტმუშაობას; ამ საქმეში დიდი ნაყოფი უნდა მოგვცეს საბანაკო პერიოდმა.

არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის დახმარებას—საქმეს სამხედრო ნაწილებთან; წითელარმიამ უნდა დაუმტკიცოს მოსახლეობას, რომ ის არის ალზრდილი რევოლიუციონური ზნეობით, რომ მან ყოზარმაში მიიღო სწავლა და განათლება ყოველმხრივ, რომ ის მტკიცედ იცავს მთელი მშრომელი მასის ინტერესებს, რომ ის დიდთ განსხვავდება ძველი ჯარისაგან, რომელიც შორს იდგა მოსახლეობისა და მათი ინტერესებისაგან.

—ლია.

არა გვაქვს ფეხსაცმელები.

1-ლი ლეგიონის მატარიაში წითელ არმიელების უმრავლესობას არა გვაქვს ფეხსაცმელები, რის გამო გვიხდება ტიტველ ფეხზე ჩავიცვათ ფეხსაცმელები. ამის წესიხვა იყო ჩვენს გზებში, მაგრამ ყურადღება მაინც არავინ მოგვაქცია.

ის მაინც იქონიონ მხედველობაში, რომ ტიტველ ფეხზე ფეხსაცმელი მალე ფუქდება, ჩვენ არ გვაქცევენ ყურადღებას.

სამხკორი შ—ლი.

კლუბის გამგე არა სჩანს?

ც. ცხენოსან ესკადრონის დაარსებისთანავე მოწვეული იქნა კლუბის გამგე, საკლუბო მუშაობის საწარმოებლად, მაგრამ რას აკეთებს ეს ამხანაკი და სად არის არავინ იცის. ერთი წარმოდგენაც არ ჩატარებულა ნაწილში.

იყო ისეთი შემთხვევაც, რომ სამკითხველოს გამგის ავად გახდომის გამო, კლუბის გამგეს ჩააბარეს დროებით მისი მოვალეობა. მისი იქ ყოფნის დროს სამკითხველო თითქმის დაკეტილი იყო ყოველთვის.

თუ რამე იქნა ნ. წილში მისაღები, მაშინ კი ვერავინ დაასწრებს მოსვლას. ასეთი კლუბის გამგე ესკადრონს არ გაოადგება.

საბჭკორი ჭინჭ რი.

უცხოეთის არმიებში

ამერიკა ემზადება იაპონიასთან ომის შემთხვევისათვის.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების საზღვაო ფლოტის ყოფილი ამირბარი (მთავარსარდალი) კუნელ, იაპონიის ფლოტის წუნარ ოკეანეში მანევრების განხილვის შემდეგ, წინადადებას იძლევა, რათა ამერიკამ დაუყონებლივ ააგოს კიდევ სამხედრო გემების მთელი რიგი, წინადმდეგ შეთხვევაში, იაპონის ფლოტი მისთვის სერიოზულ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს. თუ ახალი გემები არ იქნა კიდევ აგებული კუნელის აზრით შეუძლებელი იქნება ყველა იმ საკვირო პუნქტების დაცვა, რომელიც ამერიკის განკარგულებაში იმყოფება და რომელსაც სერიოზული საფრთხე მოელის იაპონიისაგან.

კუნელი მოითხოვს „პროგრამა მინიმუმი“ (უმცირესი) სახით. კიდევ იქნეს აგებული 8 კრეისერი, 12 საესკადრო წყალქვეშა ნავები, 2 ნავთ.ჩ.მსმენელი ტრანსპორტი, ერთი მცურავი სახელოსნო და სხვა. ამის გარდა ის მოითხოვს დაჩქარებული იქნეს ახალ სამხედრო ერთეულების დასრულება, რომლებიც უკვე დაწყებული არიან. ამას გარდა გემებზე პირად შემადგენლობის რიცხვი უნდა გადიდდეს კუნელის მოთხოვნილებით 10.000 კაცით.

ეს ზომები კუნელის განცხადებით ისეთი აუცილებელი მინიმუმია, ურომლისოდაც ამერიკის ფლოტისათვის შეუძლებელი იქნება წარმატებით აწარმოოს საომარი მოქმედება წუნარ ოკეანეში.

პასუხი შეკითხვებზე

— ალადაშვილს. წ. ა. და მათ რჩენაზე მყოფნი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან სწავლის ფულისაგან. (ბრ. № 1520—24 წ. საკავშირო კაკის დადგენილება 29 ოქტ. 1924 წ.)

— მთიულეშვილს. თანახმად სამხ. სავალდებულო სამსახურის კანონისა თქვენ წახვალთ უეადო შეუბულებაში ა. წ. შემოდგომაზე.

— ალიოშა მ. მოკლე ვადიან შეუბულებაში შეგიძლიათ წასულა მხოლოდ რაიმე ოჯახურ მიზეზების გამო და ისიც უფროსის ნებართვით.

— გაბინაშვილს. თავის დროზე იქნება ბრძანება.

— გაგრელს. პირველ რიგში უნდა მიგიღონ.

— ფხაკაძეს. ა. წ. შემოდგომაზე.

— ქურდაძეს. მოხალისეებმა ორი წელი უნდა იმსახურონ, რომ ჩაეთვალოს ნამდვილ სამსახურათ.

— გოგიჩაშვილს. თქვენი საკუთარი ტანსაცმელი სადაც მიბარეთ იქ უნდა მითითხოთო. დამკარგეელი პასუხს აგებს.

— ია—შვილს. სთხოვეთ უფროსს მოკლე ვად. შეებულება თანახმად ბრ. № 925—25 წ.

— დ—ძეს. თქვენი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, თქვენ შეღავათებით არ სარგებლობთ. (ბრ. № 865—25 წ.)

— ოტიაშვილს. ტერ ნაწილში გადარიცხული არ იქნებით.

— ო—ძეს. ნაწილიდან ნაწილში გადასვლა არ შეიძლება.

— ძირულელს. ყანის დამუშავებაში დახმარება უნდა გაგიწიონ გლეხკომმა და აღმასკომმა.

— ე—შვილს. გვაცნობეთ რამდენი წლისაა თქვენი და ვ ძმა.

— გე—შვილს. მოსკოვში არის უმაღლესი სამხ. ქიმიური სკოლა, ერთი წლიანი კურსით.

ჩვენი ფოსტა.

წით. არმ. „მიფრთხილდი“ შენიშვნა გადაეგზავნა სკოლის უფროსს.

სამხკორ რისხვას (სამხ. ჰოსპიტ.), კახიძეს (ცხენ. ლეგ.), თავბერიძეს (მე-2-ე ლეგ.), ი. ჩ. (მე-2-ე ლეგ.), ჩადუნელს (1 ლეგ.). —წერილები არ დაიბეჭდება, ამაზე იყო კორესპონდენციები ჩვენ გაზეთში.

მცხეთელს (მე-6-ე ლეგ.), ივლიტაშვილს (მე-4-ე ლეგ.), მოლითელს (1 არტლეგ.), საძაროელს (1 არტლეგიონი)—თქვენი წერილები გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

წ. ა. სიხარულიძეს—თქვენი პასუხი „შაშხანა“-ს წერილის გამო არ არის დასაბეჭდავი.

მეთვალყურეს (მე-2 დივ. მესანგრე ას.)—არ რის გარკვეული, რა ზედ იწერებით. სწერეთ ნაწილის ცხოვრებიდან.

სამხკ. იოსელიანს—(მე-3 ლეგ.) კონკურსში იღებდნენ მონაწილეობას მხოლოდ მე-2 დივ. ნაწილები.

ლევს (მე-4-ე ლეგ.), გ. ს—ძეს—წერილები „საუკეთესო მეთაური“ და „ზაზურის წერტი“—არ გავლენ დაგვიანებულია.

ბაცილას, სანდროშვილს, კ. გოგუას—თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

ყველა სამხკორთა საყურადღებოთ—წერილები, რომლებიც იგზავნებიან რედაქციაში, უნდა იქნეს დაწერილი მხოლოდ ცალ გვერდზე და სუფთად და გარკვეით. იმ წერილებს, რომლებიც ორთავე გვერდზეა დაწერილი, რედაქცია არ იხილავს და არც უპასუხებს ავტორს ფოსტაში.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-4 ქართულ მსროლელ ლეგიონის 1-ლ კომპანიაში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატობის შესახებ 1) მე-2 ასეულის ზემდგომ, ალიოშა ჭანტურიას (უპარტიო, სანაკის მაზრ. სოფელ აბაშას მკვიდრებისა და 2) სამეთო ასეულის ასეულის მეთაურს ვლადიმერ ზარქუას, (ბ. ლ. კ. კ. წევრი 1924 წლიდან, ამავე სოფლის მკვიდრობა).

თუ ვინმეს საწინააღმდეგო გაქვთ მათი მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ზემოაღნიშნულ ვადაში.

რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მოწერითათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

დავკარგე სამხედრო მოხმობარებელ სახოგადოების „პოეტის“ გამგეობიდან გაცემული კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 2728 დიმიტრი ოსიტაშვილის სახელზე. ჩათვლის გაუქმებულად.

დავკარგე მცხეთე ლეგიონიდან გაცემული წითელ არმიელის წიგნაკი № 1022 დიმიტრ ბ ოთეს ძე კობოსნაძის სახელზე. ჩათვლის გაუქმებულად.